ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების

მედია მონიტორინგი

2010 წლის 19 - 25 მარტი

ეთნიკური/რელიგიური უმცირესობების გაშუქება

<u>რაოდენობრივი კვლევა</u>

2010 წლის 19-დან 25 მარტის ჩათვლით მედია-საშუალებებში (7 საერთო-სახელმწიფოებრივი, 8 რეგიონული გაზეთი, 5 ტელევიზია) უმცირესობების გაშუქების სულ 28 ფაქტია მოკვლეული.

მოკვლეული 28 ფაქტიდან 27 ეთნიკურ უმცირესობებს ეხებოდა, ერთი კი რელიგიურს. ეთნიკური უმცირესობების გაშუქების 28 ფაქტი ასე განაწილდა: 5 ნეგატიური, 17 პოზიტიური და 5 ნეიტრალური გაშუქება. რელიგიური უმცირესობის გაშუქების ერთი მოკვლეული ფაქტი კი ნეგატიური შინაარსისა იყო.

საანალიზო პერიოდში უმცირესობების თემატიკა გააშუქა ექვსმა გაზეთმა 10 სტატიაში. აღნიშნულ 10 სტატიაში მოკვლეული 11 ფაქტიდან 6 ნეგატიური შინაარსისა იყო და 5 ნეიტრალური. უმცირესობების საკითხები გააშუქა ხუთმა ტელეარხმა. სამაუწყებლო მედიაში (მხედველობაში გვაქვს მხოლოდ საინფორმაციო გამოშვებები) მოკვლეული 17-ვე ფაქტი პოზიტიური შინაარსის იყო.

აღსანიშნავია, რომ საანალიზო პერიოდში (19 – 25 მარტი) მონიტორინგის ქვეშ მყოფი ხუთი ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებებში მართლმადიდებლობის გაშუქების ფაქტებმა ჯამში 34 შეადგინა.

საანალიზო პერიოდში კვლავ მრავლად იყო პროფესიული სტანდარტის დარღვევის შემთხვევები. ამ თვალსაზრისით კვლავ გამოირჩეოდნენ გაზეთები „ასავალ-დასავალი“ და „ჯორჯიან ტაიმსი“. გაზეთებში მოკვლეული ნეგატიური გაშუქების 6 ფაქტიდან სამი „ასავალ-დასავალში“ და ორი „ჯორჯიან ტაიმსში“ იქნა მოძიებული.

<u>თვისობრივი კვლევა</u>

თვისობრივი კვლევის შედეგად გამოვლენილი იქნა მედია საშუალებების მიერ შემდეგი სტანდარტების დარღვევის ფაქტები:

<u>**დისკრიმინაცია ეთნიკური/რელიგიური ნიშნით**</u>

1. გაზეთი „ასავალ დასავალი“ №12 (808); 22-28 მარტი, 2010. ანალიტიკური ინტერვიუ. „სოსო პავლიაშვილი: რაში გჭირდება, მიშა, ეს ყველაფერი? რად გინდა საქართველოს დაქცევა? სომხებმა მოგცეს ფული?“

> *სოსო პავლიშვილი (მომღერალი): სომეხიაო, ჩემზეც თქვეს.... სომეხს მეძახიან! იმისთანა სომხის დედა ....., სააკიანცის თამადობით, ვინც თავისი გვარი შეიცვალა! .... თქვენი დედა ვატირე, გაქანებული სომეხი გყავთ პრეზიდენტი, ნახევარი მთავრობა ნახევრად სომხები არიან და ჩემზე ავრცელებთ ამ სიბინძურეებს? ჩემს თავს რომ აგინებინებთ, არც იცით, ვინ არის სოსო პავლიაშვილი!*
>
> *... მე რომ პირველად შევხვდი მიშას, გავგიჟდი! პირველი სადღეგრძელო რუსეთის შესვა! პირველი ჭიქა! გავგიჟდი! და მაშინაც ნახევარ წელიწადში ომი დაუწყო რუსეთს... რაში გჭირდება, მიშა, ეს ყველაფერი? რად გინდა საქართველოს დაქცევა? სომხებმა მოგცეს ფული?*

ეს ფრაგმენტი არის ქსენოფობიური და ძალზე შეურაცხმყოფელი მთელი სომხური ერის მიმართ. აღვივებს შუღლს ერებს შორის. ტერმინი სომეხი აშკარად უარყოფით კონტექსტშია გამოყენებული და მის დამკვიდრებას გარკვეულწილად მედია საშუალებაც უწყობს ხელს, როდესაც ჟურნალისტი არ უსვამს რესპონდენტს არც ერთი ისეთ შეკითხვას, რომლითაც ოპონირებას გაუწევს მსგავსს ქსენოფობიურ და დისკრიმინაციულ გამონათქვამებს. არც ინტერვიუს ბოლოს არის რაიმე მინაწერი, რომელშიც ჟურნალისტი და შესაბამისად, რედაქცია გამოხატავდა სარედაქციო პოზიციას ასეთი დისკრიმინაციული მოსაზრებების თაობაზე.

2. გაზეთი „ასავალ დასავალი“ №12 (808); 22-28 მარტი, 2010. ანალიტიკური ინტერვიუ.
„თეიმურაზ შაშიაშვილი: სააკაშვილი, რომელიც ყველას რუსეთის აგენტს ეძახის, თვითონ არის კაგებეს ჯარების ეფრეიტორი!“

ეს ინტერვიუიც ქსენოფობიური და შეურაცხმყოფელია. ამ შემთხვევაში ეთნიკური დისკრიმინციის ობიექტები არიან თურქები და ებრაელები, კერძოდ:

საქართველოში თურქული ბიზნესი გამეფდა. აგერ ახლახან სამეგრელოში კაშხალის მშენებლობის ტენდერიც კი თურქებმა მოიგეს. სუპერმარკეტში შეხვალ თუ ბაზარში, გადატენილია თურქული პროდუქტებით! საქართველოში თურქული უნივერსიტეტის, სკოლისა და ლიცეუმის გარდა, არაფერი იხსნება. რადგან სააკაშვილის დედა თურქოლოგია, ხომ მარ შეიძლება, გათურქდეს ყველაფერი ამ ქვეყანაში? ყოჩაღ თურქეთის ხელისუფლებას, მაგრამ ვაი საქართველოს ხელისუფლებას!”

“ჩვენთან ყოველ ფეხის ნაბიჯზე თურქული სასწავლებლები იხსნება, მთელ თურქუთში კი ერთი ქართული საშუალო სკოლაც კი არ არის!

<u>შაშიაშვილი საუბრობს ტელეკომპანია “იმედის” დირექტორ გიორგი არველაძეზე და აღნიშნავს:</u>

*“გიორგი არველაძე-სააკაშვილის ადმინისტრაციის ყოფილი უფროსი, სააკაშვილის ეკონომიკის ყოფილი მინისტრი არაბებმა დანიშნეს “იმედის” დირექტორად? არველაძეს ისრაელში აქვს განათლება მიღებული და ახლა ის გვჯერა ჩვენ, რომ ისრაელში განათლებამიღებულ პიროვნებას, **გენეტიკურადაც ებრაული წარმომავლობის ადამიანს,** არაბები თავიანთი ტელევიზიის უფროსად დანიშნავდნენ?*

3-4. სომხები არიან შეურაცხყოფის ობიექტები გაზეთ „ჯორჯიან ტაიმსის“ (№11 (577); 25 მარტი - 1 აპრილი, 2010) ორ ინტერვიუში: „სოსო პავლიაშვილი: ალალად ვამბობ, ვანო მერაბიშვილის მსგავსი კაცი უნდა მოვიდეს ქვეყნის სათავეში“ და „საუბრობენ, რომ თბილისის მერობის კანდიდატს, გია ჭანტურიას, გვარი აქვს გადაკეთებული“

5. გაზეთი „ახალი თაობა“ №67(5143); 22.03.2010. სტატია „ოსურმა ოპოზიციამ მიტინგი ვერ ჩაატარა“.

> *ლარსის გახსნამდე ორიოდე დღით ადრე რუსეთში მცხოვრებმა სომხებმა ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს. ისინი ჯავახეთის რეგიონისთვის ავტონომიის სტატუსის მინიჭებას ითხოვდნენ. საქართველოს ხელისუფლებამ ეს აქციაც უყურადღებოდ დატოვა. გუშინ კი მოსკოვში მცხოვრებმა სომხებმა უკვე ახალი მოთხოვნა წამოაყენეს. ეს მოთხოვნები მათ მოსკოვში, შვეიცარიის საელჩოს წინ გამართულ აქციაზე გაახმაურეს. სომხური მედიის ცნობით, აქცია რუსეთში მყოფი ჯავახეთელი სომხების მიერ იყო ორგანიზებული. აქციაში რამდენიმე ათეული ადამიანი მონაწილეობდა. მათი მტკიცებით, საქართველოს ხელისუფლება სომხების დისკრიმინაციას ეწევა. აქციის მონაწილეებმა სომხური ენისთვის რეგიონული ენის სტატუსის მინიჭებაც მოითხოვეს.*
> *ამ მოთხოვნით რამდენიმე თვის წინ სომხეთის პრეზიდენტი სერჟ სარგისიანიც გამოვიდა. არადა, მისი წინამორბედი რობერტ ქოჩარიანი საქართველოში მცხოვრებ სომხებს ქართული ენის შესწავლისკენ მოუწოდებდა.*
> *სომხური მედიის ინფორმაციით, აქციის მონაწილეებმა საგანგებო კომისიის შექმნაც მოითხოვეს, რომლის შემადგენლობაში სომხეთის, საქართველოს, რუსეთისა და შვეიცარიის წარმომადგენლები უნდა შევიდნენ. ამ კომისიამ საქართველოში მცხოვრები სომხების შევიწროვების ფაქტები უნდა შეისწავლოს.*

ეს მასალა ჩაითვლებოდა ეთნიკური უმცირესობის ნეიტრალურ გაშუქებად, ამ ეთნოსის ერთი წარმომადგენელი მაინც რომ ყოფილიყო სტატიის რესპონდენტი. ის ბრალდებები, რომლებიც გამოთქმულია სტატიაში, ვერ ჩაითვლება დადასტურებულად. მართალია სტატიის ავტორი ამა თუ იმ ბრალდებას სხვადასხვა წყაროებს მიაწერს, მაგრამ არც ერთი წყარო არ არის დაკონკრეტებული, რაც ამ ინფორმაციის სანდოობას საეჭვოს ხდის. წყარო დაკონკრეტებულიც რომ ყოფილიყო, ასეთი განცხადებების გაშუქებისას აუცილებელია საპირიპირო პოზიციის მოსმენა და რაც მთავარია, იმ ეთნიკური

უმცირესობის წარმომდგენლისაგან, რომელის მიმართაც მასალაში საკმაოდ მძიმე ბრალდებები გამოითქმის.

6. გაზეთი „ასავალ დასავალი“ №12 (808); 22-28 მარტი, 2010. ანალიტიკური ინტერვიუ. „სოსო პავლიაშვილი: რაში გჭირდება, მიშა, ეს ყველაფერი? რად გინდა საქართველოს დაქცევა? სომხებმა მოგცეს ფული?“

ეს ინტერვიუ, რომელიც ერთხელ უკვე ვახსენეთ ეთნიკური უმცირესობის დისკრიმინაციისათვის (იხილეთ, შენიშვნა №1), ახლა რელიგიური უმცირესობის შეურაცხყოფის ილუსტრაციისათვის მოგვაქვს.

> *სოსო პავლიშვილი (მომღერალი): რაც ახლა ხდება, ეს რისი ბრალია იცი? მთელი ეს წლები ეს ნაძირალები, ეს უნამუსოები და კრეტინები, „თავისუფლების ინსტიტუტის“ ცისფერი იეღოველები რომ განცხრომაში არიან – ამის ბრალია ყველაფერი!*

ამ მოკლე პასაჟში დისკრიმინაციულად მოხსენიებულია, ასევე, სექსუალური უმცირესობები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჟურნალისტს არც კი უცდია რესპონდენტის ოპონირება და ამ დისკრიმინაციული გამონათქვამების საწინააღმდეგო პოზიციის დაფიქსირება.

<u>ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების გაშუქება სტანდარტების დაურღვევლად</u>

7. გაზეთი „24 საათი“ №59 (2384); 23 მარტი, 2010. „აზერბაიჯანელი სტუდენტები ალასანიასგან ბოდიშის მოხდას ითხოვენ“. ნეიტრალურად არის გაშუქებული ირაკლი ალასანაის შეცდომა, რომელიც აზერბაიჯანელებმა შეურაცხყოფად აღიქვეს.

> *საქართველოს აზერბაიჯანელ სტუდენტთა ასოციაცია „ალიანსი საქართველოსთვის“ ლიდერ ირაკლი ალასანიასაგან საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელებისთვის საჯაროდ ბოდიშის მოხდას ითხოვს.*
> *ამის შესახებ საქართველოს აზერბაიჯანელ სტუდენტთა ასოციაციამ ირაკლი ალასანიას დღეს სპეციალური განცხადებით მიმართა.*
> *როგორც განცხადებაშია ნათქვამი, 21 მარტს, როცა ყველა აზერბაიჯანელი გაზაფხულის დადგომის დღესასწაულს „ნოვრუზ ბაირამს“ აღნიშნავს, ირაკლი ალასანიამ ტელეკომპანია „იმედისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ყველა აზერბაიჯანელს რელიგიური დღესასწაული „ყურბან ბაირამი“ მიულოცა.*
> *სტუდენტების განცხადებით, გაზაფხულის დადგომის დღესასწაულზე პოლიტიკოსის მხრიდან რელიგიური დღესასწაულის მილოცვა ყველა აზერბაიჯანელისათვის შეურაცხყოფა და დამცირება იყო.*
> *„ვურჩევთ ბატონ ირაკლი ალასანიას და სხვა პოლიტიკოსებს, რომ სანამ კონკრეტული დღესასწაულის მილოცვას დააპირებენ, მანამდე გაეცნონ სხვა კულტურის ხალხთა დღესასწაულების აზრსა და შინაარსს, რათა ასე თვალსაჩინო არ გახდეს, რომ დღესასწაულის მილოცვა არა პრიორიტეტული, არამედ წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილია“,- ნათქვამია განცხადებაში.*

8-9. ზემოხსენებული ფაქტი ნეიტრალურად არის ასევე გაშუქებული გაზეთებში „ახალი თაობა“ (№ 68 (5144); 23 მარტი, 2010) და „რეზონანსი“ (074 (6300); 23 მარტი, 2010).

10. გაზეთ „რეზონანსის“ (072 (6298); 21 მარტი 2010) სტატიაში „წყვილ-წყვილი დავები ქართული მიწების გამო“ ნეიტრალურად არის გაშუქებული ჯავახეთის პრობლემა.

11. ასევე ნეიტრალურად აშუქებს „ახალი თაობა“ (№ 68 (5144); 23 მარტი, 2010) ჯავახეთის პრობლემას პუბლიკაციაში „სააკაშვილისთვის სარგსიანს მილიონი არ გადაუხდია“; ანალიტიკური ინტერვიუ პრეზიდენტის მრჩეველ ვან ბაიბურთთან.

ეს სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც ჯავახეთში მცხოვრები ეთნიკური სომხების შესახებ გამოთქმულ ბრალდებებს პასუხობს ამ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი (განსხვავებით №5-ში განხილული შემთხვევისაგან).

12-28. ყველა ტელევიზიამ ეთნიკური უმცირესობა – ამ კონკრეტულ შემთხვევაში აზერბაიჯანელი მოქალაქეები – პოზიტიურად გააშუქა. სიუჟეტების ასეთი დიდი რაოდენობის (17 სიუჟეტი, 5-ვე ტელევიზია) მიზეზი ნოვრუზ ბაირამის დღესასწაული იყო რომელსაც მუსლიმანური სამყარო 22 მარტს აღნიშნავს.

თბილისი, საქართველო, მედიის განვითარების ფონდი 2010

პროექტი ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) და ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის (EPF) პროგრამის “ეროვნული ინტეგრაცია და ტოლერანტობა საქართველოში” ფარგლებში შეერთებული შტატების საერთაშოროისო განვითარების (USAID) სააგენტოს დაფინანსებით.